პრეს - რელიზი

პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის საჯარო ლექცია

"საქართველოს ორი დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნეში"

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექციების ციკლის ფარგლებში ყოველ სამშაბათს 16:00 სთ-ზე მოწვეული სტუმარი წაიკითხავს ლექციას სოციალური მეცნიერებების დარგში. 13 აპრილს ლექციას წაიკითხავს **პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე** თემაზე "<u>საქართველოს ორი დამოუკიდებლობა მე-20 საუკუნეში"</u>

- ✓ ლექციის ჩატარების დრო: 13 აპრილი, 16.00 სთ (90 წთ);
- ✓ ჩატარების ადგილი: თსუ-ს მეორე კორპუსში, მცირე საკონფერენციო დარბაზში (პირველი სართული, აუდ. 135);
- ✓ სამუშაო ენა: ქართული;
- ✓ დასწრება თავისუფალია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროფ. გაჩეჩილაძე არის გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სომხეთსა და ისრაელში. 1997-1998 წლებში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი. 2009 წლიდან არის საგანგებო დავალებათა ელჩი.

1993-2009 წლებში პროფ. გაჩეჩილაძე იყო მიწვეული პროფესორი Oxford University (UK); Queen Mary and Westfield College, London University (UK); British Academy (UK); Northwestern University (USA); Mount Holyoke College (USA); Hebrew University of Jerusalem (Israel).

ამჟამად იგი არის თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი. 2002 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარში. პროფ. გაჩეჩილაძე აგრეთვე გახლავთ ლონდონის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი და 150-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

ქ. თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თსუ II კორპ. III სართ. ტელ: (995 32) 102781; 252781, ფაქსი: (995 32) 291334
3 Chavchavadze Avenue, Tbilisi, 0128, Georgia, TSU II block, III floor; Phone: (995 32) 102781; 252781, Fax: (995 32) 291334
www.ucss.ge; contact@ucss.ge